I მაისი

პასექის III კვირა [III] თ

წმ. იოსებ მშრომელი

2020 პარასკევი

საქმ 9,1-20; ფს 116; იო 6,52-59

უდის „ქვედა ეკლესიის“ დღეობა

მე იესო ვარ, შენ რომ დევნი! საქმ 9,5

ესაა პასუხი, რომელიც სავლე-პავლემ დამასკოს გზაზე მოისმინა იესოსაგან. სავლე ქრისტიანთა დევნით იყო დაკავებული: დღესაც ბევრნი არიან ეკლესიის და, შესაბამისად, იესოს მდევნელნი.

თუმცა, ეს სიტყვა მეხება მეც. როდესაც მძაგს რომელიმე ძმა, როდესაც სიტყვითა თუ საქმით ბოროტს ვუშვები, როდესაც არ ვეძებ მის სიკეთეს, მაშინ ამ პიროვნებაში მეც ვდევნი იესოს.

დღეს შევთხოვ შემწეობას მშვიდ წმიდა იოსებს, რათა შევძლო ყოველი მოვლენა და, მათ შორის, შრომა მივიღო უფლისათვის.

2

2020

მაისი

პასექის III კვირა [III]

წმ. ათანასე, ეპ. და ეკლ. მოძღვ., +373, (მ) თ

შაბათი

საქმ 9,31-42; ფს 115; იო 6,60-69ა

მრავალმა ირწმუნა უფალი საქმ 9,35

მრავალმა ირწმუნა უფალი, პეტრეს ხელით მომხდარი სასწაულის დანახვაზე. სასწაულია ოჯახიც, ჯგუფიც, საძმოც, სამრევლო საკრებულოც, როდესაც ცხოვრობს ერთობითა და ურთიერთსიყვარულით: არაა ადამიანის ნამოქმედარი, არამედ სულიწმიდის სასწაული. ნიშანია, რომელიც ავლენს იესოს ცოცხალ სიახლოვეს, ხსნის გულს მისი რწმენისათვის. მეც მოხმობილი ვარ ვიყო საამისო იარაღი!

3 მაისი

პასექის IV კვირადღე, «ა», [IV], თ

2020 კვირა

საქმ 2,14.36-41; ფს 22; 1პეტ 2,20-25; იო 10,1-10

მღვდლობისაკენ მოწოდებულთათვის ლოცვის დღე

ვინც კარიდან შედის, ცხვრის მწყემსია იგი. იო 10,2

თუკი ადამიანი სრულად არაა ცოდვით დაბინდული, იესოსა და მისი სიტყვის უწყებაზე შეიგრძნობს, რომ მას ეწვია მავანი, ვინც იცნობს მას: ის, ვისგანაც მომდინარეობს და ვისაც ეკუთვნის. შეიგრძნობს სიახლოვეს, სიღრმისეულ თანაზიარებას: ესაა კეთილი მწემსის მოსვლა, მისი შემოქმედისა და მამისა. ესაა სტუმრობა, რისთვისაც შეიქმნა მისი გულის კარი.

4 მაისი

პასექის IV კვირა [IV] თ

2020 ორშაბათი

საქმ 11,1-18; ფს 41-42; იო 10,11-18

თქვენ სულიწმიდით მოინათლებით საქმ 11,16

ქრისტიანული ნათლისღება „სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა“ არაა ოდენ გარეგნული ქმედება, ცხოვრების შეცვლის გადაწყვეტილების აღსანიშნავად, რისკენაც მოუხმობდა იოანე ნათლისმცემელი. ესაა ცვლილება, რომელსაც ნამდვილად თავად ღმერთი აღასრულებს. იგი შთაგვფლავს მისსავე სიცოცხლეში, თავის სულში, თავის სიყვარულში. დღესაც, იცხოვრე სიხარულით, მის სიყვარულში შთაფლულმა, მისი სულის მეგზურობით!

5 მაისი

პასექის IV კვირა [IV] თ

2020 სამშაბათი

საქმ 11,19-26; ფს 86; იო 10,22-30

უფლის ხელი იყო მათთან საქმ 11,21

ესენი იყვნენ სტეფანეს მოწმობის შემდეგ დაწყებული დევნის გამო გაფანტული მორწმუნეები. მათ თავი შეაფარეს უცხო ქვეყნებს – ფინიკიას, კვიპროსს, ანტიოქიას –, და აქ, გასაჭირის მიუხედავად აუწყებდნენ იესოსგან მიღებული დახსნის სიხარულს. და იესო მოქმედებდა მათთან ერთად და მრავალს აღავსებდა რწმენის ფასდაუდებელი მადლით. ალელუია!

საქმ 12,24 - 13,5; ფს 66; იო 12,44-50

იზრდებოდა ღვთის სიტყვა და ვრცელდებოდა საქმ 12,24

ღვთის სიტყვა, სახარება, სასიხარულო ამბავი ვრცელდებოდა მორწმუნეთა საშუალებით. პირველი ქრისტიანული საკრებულოს ცხოვრების სიახლე, იესოს მოწაფეთა სიხარული, გადამდები იყო. რად არ ვეცადო ჩემს დღევანდელ შეხვედრებში განვავრცო, თუ სხვაგვარად არ შეიძლება, თუნდაც ღიმილით, გულის სიმშვიდით, მამის სიყვარულის შეგნება? ის ხომ ყოველ იმ ბოროტებას აღემატება, რაც გარს მახვევია!

7 მაისი

პასექის IV კვირა [IV] თ

2020 ხუთშაბათი

საქმ 13,13-25; ფს 88; იო 13,16-20

ვინც მე მღებულობს, ჩემს მომავლინებელს ღებულობს იო 13,20

სხვა ადგილას იესო პირდაპირ ამბობს, რომ იგი მამამ მოავლინა; მასთან საუბარ-ში უწოდებს მას „ცისა და მიწის უფალს“. იესო, შენი სიტყვის მიღებით, სიტყვისა, რომელიც ანათებს, მიგვიძღვის, გვიცავს, შეგვისწორებს, უკვე ვართ მამის გულში. შენი წყალობით სიხარულით ვგალობთ: ალელუია! და ვემზადებით სულიწმიდის მისაღებად!

8 მაისი

პასექის IV კვირა [IV] თ

2020 პარასკევი

საქმ 13,26-33; ფს 2; იო 14,1-6

კამილიელი დედა მარია ნიკოლოზის გახსენება (+2005)

ნუ შეკრთება თქვენი გული იო 14,1

იესო, რომელიც მოუხმობს თავის მოწაფეებს, არ შეშფოთდნენ როდესაც იხილავენ მას ჯვარცმულს, დღესაც მოგვიხმობს არ შევშფოთდეთ იმ სიძულვილის გამო, ეკლესიის წინააღდმეგ რომ ბობოქრობს. ჯერ კიდევ IVს-ში წმ. იოანე ოქროპირი ასე აგულიანებდა ქრისტიანებს: „ქარიშხლის ღრუბლები მოქუფრულა ჩვენს თავზე, მაგრამ არ გვეშინია, ვინაიდან კლდეზე ვართ დაშენებულნი. ზღვა ვერ დაამსხვრევს კლდეს. დაე, აბობოქრდეს ტალღები, ვერ ჩაძირავენ იესოს ნავს. ჩემს წინააღმდეგ ამაქვეყნის ძლიერთა რისხვაც რომ აღიმართოს, ჩემთვის ობობის ქსელზე მეტი არ იქნება“.

9 მაისი

პასექის IV კვირა [IV] თ

2020 შაბათი

საქმ 13,44-52; ფს 97; იო 14,7-14

ნაციზმზე გამარჯვების დღე

მე დაგაყენე წარმართთა ნათლად საქმ 13,47

შენ, გულით რომ ატარებ იესოს,
სიცოცხლის ნათელს ფლობ: იცი, რომ
გყავს მოსიყვარულე მამა, რომელიც
მოგელის. მშვიდობა და ქმედითი
სიყვარული, ამ სიბრძნის ნაყოფი,
აღანთებენ ნამდვილ ნათელს სხვათა
გულებში: და მამა შენი გაიხარებს!

საქმ 6,1-7; ფს 32; 1პეტ 2,4-9; იო 14,1-12

მამა ჩემის სახლში ბევრი სავანეა იო 14,2

ბიბლიაში უხვადაა რიცხვები, რომელთა დიდი უმრავლესობა სიმბოლურია: სიმ-ბოლურია დახსნილთა რიცხვიც (144.000) გამოცხადების წიგნში. დიახ, ვინაიდან მამის გული უკიდეგანოა... სხვაგვარად ხომ ღვთიურიც არ იქნებოდა! ურიცხვია ის „სა-ვანეებიც", რომლებიც გაგვიმზადა იესომ სიკვდილითა და აღდგომით: თუკი მისი იმედი მაქვს, მეც მივაღწევ მათ უეჭველად, ალელუია!

ორშაბათი

საქმ 14,5-18; ფს 113; იო 14,21-26

მ. იეჟი შიმეროვსკის გახსენება (+2016)

ყველაფერს გაგახსენებთ, რაც თქვენთვის მითქვამს იო 14,26

იესომ უწყის ჩვენი გულმავიწყობა. იცის, რამდენი რამე განგვსაზღვრავს, ის, რაც ხდება ჩვენს ირგვლივ და ჩვენში, და რა იოლად გვავიწყდება მისი სიტყვები. მან და მამამ უწყიან, რომ არ შეიძლება ჩვენი მარტო დატოვება ერთი წუთითაც! სულიწმიდაა ჩვენი „მეხსიერება“, ჩვენი მცველი, რომელიც შეგვახსენებს და გვაგებინებს, რწმენითა და მისი სიყვარულით გვაცოცხლებს.

საქმ 14,19-28; ფს 144; იო 14,27-31

წმ. ანდირა მოციქულის დღესასწაული
საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ იო 14,27

მადლობა, იესო, შენი მშვიდობის ძღვენი-
სათვის! ის მე მწვდება შენი სიყვარული-
დან: უანგარო მამისეული სიყვარულიდან,
ერთგული ნეფესეული სიყვარულიდან;
ჩემი მაცხოვრის სიყვარულიდან, რომელ-
მაც ჯვარზე დაამარცხა ჩემი ცოდვა და
ჩემი სიკვდილი. ალელუია!

საქმ 15,1-6; ფს 121; იო 15,1-8

უჩემოდ არაფრის კეთება არ შეგიძლიათ

იო 15,5

რა თქმა უნდა, იესოს გარეშე შემიძლია ვაკეთო, რაც მინდა..., თუმცა არაფერი, რისი კეთებაც ნამდვილად ღირს: ყოველივე დროისა და ძალების ფლანგვა იქნება. იესოსთან ერთად კი, მისი სიტყვის მორჩილებაში, მისი მეგზურობით, ყოველი წამი, ყოველი ქმედება, იძენს მარადისობის გემოს, ატარებს მისი სიყვარულის ბეჭედს იქცევა ღვთის საქმედ: მოხუცისათვის ჭურჭლის დარეცხვაც და გზად შემხვედრის მისალმებაც.

14 2020

მაისი

წმ. მატათა მოციქული, დ, [ს], წ

(1.V) წმ. თამარ მეფე, +1213

ხუთშაბათი

საქმ 1,15-17.20-26; ფს 112; იო 15,9-17

ერთ-ერთი მათგანი
უნდა გახდეს ჩვენთან ერთად
მისი აღდგომის მოწმე საქმ 1,22

წმიდაო მატათა, რომელიც მოციქულთა რიცხვის შესავსებად აგირჩიეს, შენს დღესასწაულზე გევედრებით: მოგვიპოვე ნიჭი, ვიყოთ აღმდგარი იესოს ნამდვილი მოწმენი! რომ თავად იგი მკვიდრობდეს ჩვენში სულიწმიდის ძალით და განავრცოს თვისი მშვიდობა და სიხარული. ალელუია!

15 მაისი

პასექის V კვირა [I] თ

2020 პარასკევი

საქმ 15,22-31; ფს 56; იო 15,12-17

მეგობრები გიწოდეთ თქვენ იო 15,15

მადლობა, იესო! შენ მოხვედი ამქვეყნად, რათა გეჩვენებინა, როგორ ცხოვრობენ ზეცაში: სიტკბოებითა და პატივისცემით, ნდობითა და გულმოწყალებით, ყოველივეს ნდობის სიხარულით, ყოველივეს გაზიარების სურვილით: როგორც მეგობრები, რომლებსაც უანგაროდ უყვართ ერთმანეთი. ასე მსურს ცხოვრება მეც შენსა და ჩემს ეკლესიაში! ალელუია!

16
2020

მაისი

პასექის V კვირა [I] თ

(3.V) წმ. მამაი კათალიკოსი, VIIIს; / ღირ. მამანი მიქა-
ელ და არსენ ულუმბოელნი, IXს, მონაზონნი

შაბათი

საქმ 16,1-10; ფს 99; იო 15,18-21

არა ხართ წუთისოფლისანი იო 15,19

ზოგჯერ ვამჩნევ ხოლმე, რომ მეც „წუ-
თისოფლისა“ ვარ: ვაზროვნებ, ვლაპარა-
კობ და ვაკეთებ როგორც წუთისოფელი.
არადა, რა კარგია ეკუთვნოდე იესოს! არ
მინდა ეს ნიჭი წამართვას ვინმემ; შევეც-
დები დავალაგო ჩემი ცხოვრება, მოვაწყო
ჩემი საქმიანობა და დრო სულიწმიდის
დახმარებით. დღეს გავალ საყიდლებზე და
დავალაგებ სახლს, რათა ხვალ მშვიდად
და სიხარულით განვიცადო უფლის დღე
და სხვებისთვისაც დამრჩეს დრო.

17 მაისი

2020 კვირა

პასექის VI კვირადღე, «ა», [II], თ

საქმ 8,5-8,14-17; ფს 65; 1პეტ 3,15-18; იო 14,15-21

თუ მე გიყვარვართ, ჩემი მცნებანი დაიცავით იო 14,15

სკრუპულოზობის სენის მიზეზით ძალზე რთული იყო ჩემთვის აღსარება. სხვათა შორის ჩემი მშობლების დახმარებითაც არ დამინებებია აღსარებისათვის თავი და ერთ დღესაც იესომ ამიხილა თვალი და ცოცხლად დამანახა თავისი სიყვარული და განმკურნა. მადლობა, იესო!

18

2020

მაისი

პასექის VI კვირა [II] თ

წმ. იოანე I, პაპი და წამებული, + 526

ორშაბათი

საქმ 16,11-15; ფს 149; იო 15,26 - 16,4

თქვენც დაამოწმებთ, ვინაიდან თავიდანვე ჩემთანა ხართ იო 15,27

დაამოწმო იესო, გადასცე მისი ჩვენთან
და ჩვენთვის ყოფნის უეჭველობა და
სიხარული, ოდენ სულიწმიდის საქმეა.
ჩვენ, იესოს მეგობრები, მის სიახლოვეს
ყოფნას, მის მოსმენას, გაგონებას და
დაყოლას რომ ვცდილობთ, ვისუნთქებთ
მისი სუნთქვით და მისი მოწმენი ვიქნებით.
მოდი, სულო წმიდაო!

19 მაისი

პასექის VI კვირა [II] თ

2020 სამშაბათი

საქმ 16,22-34; ფს 137; იო 16,5-11

იწამე უფალი იესო და გადარჩებით შენც და მთელი შენი სახლიც საქმ 16,31

გწამდეს იესო, ნიშნავს გწამდეს რომ
ღმერთი მამაა შენი, ნიშნავს გწამდეს
მისი უსაზღვრო სიყვარული შენდამი.
იმხელა სიყვარული, რომ იგი დამცირდა,
თვით ჯვარზე შესწირა თავი, რათა
თავის შვილად გავეხადე. ღმერთის ასეთი
სიყვარულის რწმენა, ნამდვილად მიხსნის:
მათავისუფლებს მრავალი შიშისაგან,
წყვდიადისგან, რომელიც მიმალავს
ცხოვრების საზრისს,
ახალ და უეჭველ იმედს მანიჭებს.

20 2020

მაისი

პასექის VI კვირა [II] თ

(7.V) წმ. ღირსი იოანე ზედაზნელი და მისი 12 მოწაფე, VIს, (მ);
წმ. ბერნარდინე სიენელი, ხუცესი, +1444

ოთხშაბათი

საქმ 17,15.22 - 18,1; ფს 148; იო 16,12-15

ყველაფერი, რაც მამას აქვს, ჩემია იო 16,15

მამის მთელი სიყვარული იესოს
გულშია. ყოველივე, რაც იესოს გულშია
გვეძლევა სულიწმიდაში. მოდი, სულო
წმიდაო, მამისა და ძის სიყვარულო,
დაკარგული და ნაპოვნი ადამიანისთვის
გაწვდილო ღვთიურო სიცოცხლევ.
მადლობა სიხარულისათვის, იმ ღმერთის
საკუთრებად ყოფნით რომ ვღებულობ,
რომელიც აღარაა უცნობი, არამედ მამაა
ჩემი, იესოში რომ მიშვილა.

21 2020

მაისი

ზეცად ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, «ა», დდ, [ს], თ

(ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს დამდეგ კვირადღეს)

ხუთშაბათი

საქმ 1,1-11; Sal 46; ეფ 1,17-23; მთ 28,16-20

ბუზმარეთის კათოლიკური ეკლესიის დღეობა.

ახლა წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი მთ 28,19

იესო, დღეს გიმზერთ შენს დიდებაში! სწორედ იქ, მამასთან სიყვარულის თანაზიარებაში შენ აღასრულებ შენს საყოველთაო ძალაუფლებას, ყოველი ადამიანის შეყვარებისა და დახსნის ძალაუფლებას. დღესაც დაგვლოცავ, დაგვლოცავ ჩვენ, შენს ეკლესიას და მიგვავლენ შენი სასუფევლის მსახურებს, შენი სიყვარულის მაუწყებლებს. მადლობა, იესო!

22 2020

მაისი

პასექის VI კვირა [II]

(9.V) წმ. შიო მღვიმელი, VIს, (მ), თ
წმ. რიტა კასიადან, +1447

პარასკევი

საქმ 18,9-18; ფს 46; იო 16,20-23

სულთმოფენობის ნოვენის დასაწყისი

ნუ შეგეშინდება, არამედ ილაპარაკე და ნუ დადუმდები საქმ 18,9

ამ სიტყვებით იესო ერთ ხილვაში ამხნევებს პავლე მოციქულს მის მისიაში. წარგზავნაში, რომლითაც სრულდება ყოველი ევქარისტია, კვლავ იესოა რომ გვარწმუნებს, გვანიჭებს სიბრძნესა და ძალას, რათა ვაშენოთ მისი სასუფეველი ჩვენს სახლში, ჩვენს გარემოში. მადლობა, იესო!

23 მაისი

2020 შაბათი

საქმ 18,23-28; ფს 46; იო 16,23-28

თვით მამას უყვარხართ, რაკი მე შემიყვარეთ. იო 16,27

ბოლოს და ბოლოს ადამიანმა გაიგო, რო-გორ მოეწონოს ღმერთს, მამას: შეიყვარებს იესოს, დაიცავს მის სიტყვას. მართლაც მშვენიერი სიტყვაა! ერთი არაქრისტიანი, სახარების კითხვისას ამბობდა: „ძლივს არ ვნახე მარტივი გზა, ნათელი გზა“. ჩემ-თვის ვფიქრობდი: „სწორედ ის გზაა, რომ-ლისთვისაც ჩაგიფიქრეს შენ და შეგქმნეს!“

24 მაისი

2020 კვირა

პასექის VII კვირადღე, «ა», [III], თ
(ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს ამაღლება)

საქმ 1,12-14; ფს 26; 1პეტ 4,13-16; დს იო 17,1-11ა

მ. ივანე გვარამაძის გახსენება (+1912)

ესაა საუკუნო სიცოცხლე... იო 17,3

სულიწმიდის მოლოდინში ეკლესია ლოცულობს, ალბათ თავად ეს მოლოდინია უკვე ლოცვა. იესო თვალს მიეფარა, ზეცას ამაღლდა, მაგრამ მოწაფეები ვეღარასოდეს იგრძნობენ თავს ობლებად, რაკი ღმერთში გაიცნეს მამა. ეკლესია ამ მოლოდინით იწყებს თავის მთავარ მისიას, მუდამ სულიწმიდის ქმედებით გააცნოს ღმერთი ყოველ ადამიანს და გაუწოდოს მისი სიყვარული, იყოს მსახური, რაკი იმას უწოდებს უფალს, ვისგანაც მსახურების მეტი არაფერი უნახავს. და თუკი ყოველთვის არა აქვს ეკლესიას საკმარისი მიზეზი არხეინად ყოფნისთვის, თავად იესოს ლოცვა შეეწევა მას, იესოსი, რომელსაც მამა არაფერში ეუბნება უარს.

25

2020

მაისი

პასექის VII კვირა [III] თ
წმ. ბედა ღირსი, ხც. და ეკ. მძღვ., +735;
წმ. გრიგოლ VII, პაპი, +1085;
წმ. მარია მაგდალენა დე პაცი, ქალწ., +1607

ორშაბათი

საქმ 19,1-8; ფს 67; იო 16,29-33

გამაგრდით, მე ვძლიე სოფელს იო 16,33

საზეიმოდ ვიყავი გამოწყობილი. ერთმა დამ შენიშნა, რომ ჩემს სამოსში რაღაც ვერ იყო კარგად... ისე მეწყინა, რომ სიტყვაც კი ვეღარ გავეცი! თუმცა მასთან ერთად კვლავაც ვლოცულობდი. და აქ მიჩვენა იესომ თავისი ძალა: შევძელი მშვიდობის ნიშანი მიმეცა იმ დისათვის, ჩემს უბადრუკობაზე ღიმილით: მას კვლავაც ვუყვარდი!

26 2020

მაისი

პასექის VII კვირა [III] თ

წმ. ფილიპე ნერი, მღვდ. +1595, (მ);
(13.V) წმ. ღირ. ექვთიმე მთაწმიდელი, +1028წ.

სამშაბათი

საქმ 20,17-27; ფს 67; იო 17,1-11

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

ვემსახურე უფალს საქმ 20,19

პავლე მოციქული უკანასკნელად ემშვიდობება ეფესოს ეკლესიის ხუცესთ. ამ დროს მის გულში მშვიდობა სუფევს, იგი ხომ მუდამ ცდილობდა შეესრულებინა ის მისია, რომელიც უფალმა მიანდო მას. მისი სიტყვები ექოსავით ეხმიანება იესოს, მისი მოძღვრისა და უფლის სიტყვებს: „მამაო, შენ განგადიდე მიწაზე, იმ საქმის აღსრულებით, რაც დამავალე გასაკეთებლად". მამაო, ამ ახალ დღეს მწადია ვაკეთო ის, რაც შენ გწადია.

27 2020

მაისი

პასექის VII კვირა [III] თ

წმ. ავგუსტინე კენტერბერიელი, ეპ., +604

ოთხშაბათი

საქმ 20,28-38; ფს 67; იო 17,11-19

გაცემა მეტი ნეტარებაა, ვიდრე მიღება საქმ 20,35

ყურადღება მმართებს, რათა ეს „კმაყოფილება“ იყოს ნამდვილად ნეტარება და არა ამპარტავნება! ნეტარებაა, როცა გაცემა არის შედეგი ღმერთის ჩემდამი სიყვარულისა, მისი საყოველთაო სახიერებაში მონაწილეობა. ეს არ იქნება საიმისოდ, რომ წესრიგში ვიგრძნო თავი, ან რაც უარესია, რომ დავაგროვო დამსახურებანი! სულიერი ამპარტავნების საწინააღმდეგო წამალი სხვათაგან სიყვარულის თავმდაბალი მიღებაა.

28 2020

მაისი

პასექის VII კვირა [III] თ

(15.V) წმ. ღირსი პიროს ბრეთელი, მონაზონი, VIს

ხუთშაბათი

საქმ 22,30; 23,6-11; ფს 15; იო 17,20-26

მე ვაუწყე მათ შენი სახელი იო17,26

სევდიანი ვიყავი, უიმედო და შუქის გარეშე. შენს ეკლესიაში, იესო, მაპოვნინე მამის სიყვარული: ყოველივე ლამაზი და სიხარულით აღსავსე გახდა; მადლობა! კვლავ მომანიჭე სულიწმიდა, რათა დავრჩე და გავიზარდო ამ საოცარ სიცოცხლეში, ნამდვილად ღვთიურ, საუკუნო სიცოცხლეში!

29 მაისი

პასექის VII კვირა [III] თ

2020 პარასკევი

საქმ 25,13-21; ფს 102; იო 21,15-19

უფალო, შენ იცი, რომ მიყვარხარ იო 21,17

თავისთავად არ მომდის ეს სიტყვები, პეტ-
რეს რომ მივბაძო, რადგან მრავალ ნაკლს
ვხედავ ჩემში... არადა, არ უნდა გავჩერდე
ამაზე. იმედით ვთხოვ მას, უფრო ძლიერ
და ერთგულ სიყვარულს, რათა შემეძლოს
მასთან თანამშრომლობა მის ეკლესიაში.
დიახ, ღატაკნი ვართ, მაგრამ სულიწმიდის
შემწეობით ძვირფასი ვხდებით მის ხელში!
წმიდა წამებულნი არამხოლოდ ნიმუშად
გვევლინებიან, არამედ შემწედაც.

30 მაისი

პასექის VII კვირა [III] თ

2020 შაბათი

საქმ 28,16-20.30-31; ფს 10; იო 21,20-25

შენ მე გამომყევი იო 21,22

რამდენჯერ ხდება ხოლმე, რომ როგორც პეტრე მაშინ, მეც ვკარგავ დროს ამა თუ იმ ძმის შემყურე, ცნობისმოყვარეობით და ხანაც განკითხვით, რათა გამართლება მოვუძებნო ჩემს სიზარმაცეს... სულიწმიდის შემწეობით, რომელსაც ხვალ კვლავ მოგვფენ, იესო, მხოლოდ შენს ნებას დავუწყებ ძებნას. სიყვარულით მისი მიყოლით ნამდვილ შემწეობად ვიქცევი ძმებისათვის და არა მსჯავრმდებლად.

31 მაისი

სულთმოფენობა, «ა», დდ, [ს], წ

2020 კვირა

საქმ 2,1-11; ფს 103; 1კორ 12,3-7.12-13; იო 20,19-23

ბათუმის ახალი კათოლიკური ეკლესიის დღეობა

როგორც მე მომავლინა მამამ, მეც მიგავლენთ თქვენ იო 20,21

იესო, შენ მოციქულებს უზიარებ მამისაგან მიღებულ ნიჭს, საპასუხისმგებლო ნიჭს! მან მოგავლინა, რათა ყოფილიყავი მისი მიმტევებელი სიყვარული, რომელიც ზრდას ანიჭებს ყოველივეს რაც კი რამ კარგია ადამიანში. ახლა შენ გვანიჭებს შენს სულს და მშვიდობას, რათა ჩვენ განვაგრძოთ ამქვეყნად, რომელიც კვლავაც გვმტრობს, შენი მაცოცხლებელი ყოფნა. მოდი, სულო წმიდაო, გარდაგვქმენ, განგვწმიდე, აღგვავსე და დაგვასაქმე!